შპს ვესტ ლოჯისტიქს

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს ვესტ ლოჯისტიქს

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისათვის

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები		3,609,653.00	1,322,558.00
საქონლის გაყიდვიდან		-	-
მომსახურების გაწევიდან		3,586,557.00	1,309,443.00
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		23,096.00	13,115.00
გაყიდვების თვითღირებულება		(462,207.00)	(498,368.00)
საწყისი მარაგები		-	-
მარაგების შესყიდვა		-	-
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		-	-
საერთო მოგება		3,147,446.00	824,190.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	3	(271,767.00)	(587,451.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	7	(136,120.00)	(181,473.00)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(23,932.00)	(54,863.00)
იჯარის ხარჯი		(2,542.00)	(2,542.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4	(2,011,576.00)	(50,597.00)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,445,937.00)	(876,926.00)
საოპერაციო მოგება		701,509.00	(52,736.00)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-	-
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(300.00)	(6,471.00)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		701,209.00	(59,207.00)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		701,209.00	(59,207.00)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		701,209.00	(59,207.00)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		402,197.00	494,668.00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(222,910.00)	(33,264.00)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		880,496.00	402,197.00

შპს ვესტ ლოჯისტიქს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისათვის

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		179,313.00	374.00	12,443.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		406,645.00	483,716.00	185,359.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5	3,221.00	3,284.00	20,485.00
მარაგები		3,878.00	5,545.00	6,435.00
მზა პროდუქცია		-	-	-
სხვა	6	3,878.00	5,545.00	6,435.00
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		2,009.00	-	4,043.00
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები	7	552,992.00	692,192.00	954,712.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		451,623.00	612,163.00	740,934.00
სულ აქტივები		1,599,681.00	1,797,274.00	1,924,411.00
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	8	201,286.00	473,042.00	138,533.00
ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		9,162.00	9,957.00	4,416.00
საგადასახადო ვალდებულებები		19,411.00	19,509.00	25,125.00
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		-	425.00	750.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		405,422.00	808,240.00	1,177,015.00
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები		83,904.00	83,904.00	83,904.00
სულ ვალდებულებები		719,185.00	1,395,077.00	1,429,743.00
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		-	-	-
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		880,496.00	402,197.00	494,668.00
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		880,496.00	402,197.00	494,668.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,599,681.00	1,797,274.00	1,924,411.00
სულ მოკლევადიანი აქტივები		595,066.00	492,919.00	228,765.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		229,860.00	502,933.00	168,824.00

შპს ვესტ ლოჯისტიქს
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისათვის

	შენიშვნა	2023	2022	2021
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		402,197	494,668	672,274
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება		-	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(222,910)	(33,264)	(204,705)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		701,209	(59,207)	27,099
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**880,496**	**402,197**	**494,668**

შპს ვესტ ლოჯისტიქს

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვესტ ლოჯისტიქს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/07/2017 ს.კ. 405219384). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N45, სართული 7. მისი ძირითადი საქმიანობაა გადაზიდვის მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება და როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ

დივიდენდის გადახდის შემდეგ, მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ცვეთადი ღირებულების (ცვეთადი ღირებულება მიიღება აქტივის თვითრირებულებას გამოკლებული, აქტივის შესაძლო სარეალიზაციო ფასი მომსახურების ვადის გასვლის შემდგომ) სასარგებლო გამოყენების ვადაზე წრფივი მეთოდით განაწილების გზით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო

ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული საიჯარო ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის თვითღირებულებაში

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯად აღიარება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები

არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სასესხო ვალდებულებები

ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ყოველი თვი ბოლოს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში მიუხედავად ფაქტობრივად გადახდის თარიღისა.

3. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალზე გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს, რომლებიც ჩართულია საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებში და შესაბამისად აღიარდება მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ხარჯად.

4. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები მოიცავს:

დასახელება	თანხა
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1,960,621
სადაზღვეო ხარჯი	14,811
ბანკის მომსახურების საკომისიო	290
საკანცელარიო ხარჯი	116
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისა და რემონტის ხარჯი	28,098
სხვა საერთო ხარჯი	7,641
	2,011,576

5. გადახდილი ავანსები მოიცავს:

დასახელება	თანხა
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3,221
	3,221

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი მოიცავს სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ საწვავის (დიზელი) ნაშთს.

7. ძირითადი საშუალებები

დასახელება	ნაშთი 01.01.2023	შეძენა 2023	გასვლა 2023	ცვეთა 2023	ნაშთი 31.12.2023
ნაგებობები	16,414	-	-	1,641	14,772
ძირითადი საშუალება რომელიც არ არის ექსპლუატაციაში შესული	7,057	-	7,057	-	-
სხვა ძირითადი საშუალება	2,613	7,057	-	1,934	7,736
ოფისის აღჭურვილობა	5,043	-	-	1,009	4,035
ავეჯი და სხვა ინვენტარი	282	-	-	56	225
სატრანსპორტო საშუალებები	660,783	4,632	7,712	131,479	526,224
	692,192	11,689	14,769	136,120	552,992

8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ადგილობრივ მომწოდებლებისგან შეძენილ საქონელსა და მომსახურებებზე წარმოშობილ, ძირითადად მოკლევადიან ვალდებულებებს.

9. ცვლილებები წარდგენაში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ არის აღმოჩენილი გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც არ დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 30 ივლისს.